



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება № 814

დ. თბილისი, 2008 წ. 25 09

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვთა განათლების სტრატეგიისა და 2009-2011 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ


“სოციალური განათლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლის “ე” პუნქტის და მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის “თ” ქვეპუნქტის შესაბამისად, ინკლუზიური სწავლების დამკვიდრების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს “სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვთა განათლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2009-2011 წლებისათვის” დანართის შესაბამისად.
2. დაეწიოს კანცელარიას ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის.

მინისტრი

გიორგი ნოდია



*სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე
ბავშვთა განათლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2009-
2011 წლებისთვის*

თბილისი

2008



გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

დამატებითი ინდივიდუალური მუშაობა - ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმებით დადგენილი გაკვეთილების (საათების) გარდა, მასწავლებლის მუშაობა ეროვნული გეგმის მიზნების მისაღწევად.

დროებითი დამხმარე კლასები - გულისხმობს მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისად დროებით შექმნილ დამხმარე კლასებს, სადაც მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ დაძლიონ სწავლის პროცესში აღმოცენებული სირთულეები. მაგ. ჩამორჩენა გარკვეულ საგანში ავადმყოფობისა ან სხვა მიზეზის გამო, დამატებითი მეცადინეობები და სხვ. დამხმარე კლასების არსებობის აუცილებლობა ქრება მაშინ, როდესაც ყველა მოსწავლე დაძლიებს სწავლის სირთულეებს.

დღის მოვლის ცენტრი - შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაციისა და ადაპტაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა პროფილის დღის ცენტრების განვითარებას, რაც ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის ბავშვთა) ინდივიდუალურ განვითარებას და მათ ჩართვას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ისგ) - არის წერილობით გაფორმებული დოკუმენტი, რომლის შინაარსი, მოცულობა და ათვისების წესი სსსმ მოსწავლის აკადემიური მომზადების დონის და ინტერესების შესაბამისად არის შედგენილი. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ადგენს, აფასებს და გადახედავს ინკლუზიური სწავლების მულტიდისციპლინური გუნდი, სსსმ მოსწავლის მშობელი და სადაც შესაძლებელია თავად სსსმ მოსწავლე. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეყრდნობა ეროვნულ სასწავლო გეგმას და ითვალისწინებს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას, ამ საჭიროებების დაკმაყოფილების გზებსა და ყველა დამატებით აქტივობას, რომელიც აუცილებელია ისგ-ით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.

ინკლუზიური სწავლება - გულისხმობს ყველა ტიპის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესში თანატოლებთან ერთად. ინკლუზიური სწავლება ასევე გულისხმობს სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური და/ან მოდიფიცირებული სასწავლო გეგმებით სწავლებას.

ინკლუზიური სწავლების მულტიდისციპლინური გუნდი - წარმოადგენს სპეციალისტთა გუნდს, რომლის შემადგენლობაში შედიან: ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი,

მეტყველების თერაპევტი, სპეციალური პედაგოგი და ზოგადი განათლების პედაგოგი. მულტიდისციპლინური გუნდის შემადგენლობა შეიძლება იცვლებოდეს საჭიროებების შესაბამისად. გუნდის შემადგენლობაში შეიძლება მოწვეულ იქნან: ნევროლოგი, ფსიქიატრი, სურდო-პედაგოგი და/ან ნებისმიერი სხვა სპეციალისტი. სკოლას სასკოლო შტატში შესაძლებელია ყავდეს მუდმივმოქმედი მულტიდისციპლინური გუნდი. ასევე შესაძლებელია მობილური მულტიდისციპლინური გუნდების არსებობა განათლების სისტემის მართვის ორგანოებთან (სამინისტრო, რესურს-ცენტრი).

ინკლუზიური სწავლების მულტიდისციპლინური გუნდის ფუნქციებია: ა) სსსმ ბავშვების იდენტიფიკაცია და შეფასება. მათი ინდივიდუალური საჭიროებების და შესაძლებლობების განსაზღვრა; ბ) შეფასების საფუძველზე სსსმ ბავშვის საგანმანათლებლო ინტერესის დადგენა და მშობლისათვის რეკომენდაციის გაწევა საგანმანათლებლო დაწესებულების არჩევისთვის; გ) კონსულტაციების გაწევა სკოლებისათვის: ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და მათი სასწავლო პრაქტიკაში ეფექტიანი დანერგვისათვის; დ) სკოლების პრაქტიკული და მეთოდოლოგიური დახმარება ინკლუზიური სწავლების დანერგვისა და განვითარების პროექტების განხორციელებაში. სკოლაში ინკლუზიური სწავლების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის ფორმირება. ე) სკოლებში სასწავლო პროცესში ჩართული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების აკადემიური და სოციალური მიღწევების მონიტორინგი და შეფასება. ინკლუზიური სწავლების ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა. პრობლემების გადაჭრის ხერხებისა და რეკომენდაციების შემუშავება, სადაც განსაზღვრული იქნება სამომავლო საქმიანობის ეფექტურად განხორციელებისათვის აუცილებელი ქმედებები. ე) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების მოძიება რესურს ცენტრების, რაიონული პოლიკლინიკებისა და სოც. უზრუნველყოფის განყოფილებებიდან. არსებული მონაცემთა ბაზების შევსება.

ინტეგრირებული კლასი - სსსმ ბავშვებით დაკომპლექტებული კლასი, რომელიც სწავლობს სპეციალური კორექციული პროგრამით და მდებარეობს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სივრცეში (შენობაში). ინტეგრირებული კლასის მოსწავლეები ჩართულები არიან ყველა სასკოლო აქტივობაში (ექსკურსია, ზეიმი, გამოფენები და სხვ.), გარდა სასწავლო პროცესისა.

მაქსიმალურად ხელშემწყობი და ნაკლებად შემზღვეველი სასწავლო გარემო ("Least restrictive environment") - გულისხმობს, რომ სსსმ ბავშვების აბსოლუტური უმრავლესობა განათლებას ღებულობს თანატოლებთან ერთად, რომელთაც არ გააჩნიათ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები და რომ სსსმ ბავშვების სპეციალურ კლასებსა და სპეციალიზირებულ სკოლებში განაწილება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვის საგანმანათლებლო საჭიროებები იმდენად მრავალფეროვანი და მძიმეა, რომ მათი დაკმაყოფილება შეუძლებელია ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში.

მოდულიზირებული სასწავლო გეგმა - ეროვნული სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი, განსხვავებული სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.

ნაწილობრივი ინკლუზია - გულისხმობს სსსმ მოსწავლის განსაკუთრებულ საგაკვეთილო განრიგს, რომლის თანახმად სსსმ მოსწავლე ესწრება მხოლოდ მისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გაკვეთილებს.

რესურს ოთახი - არის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სივრცეში არსებული ოთახი, რომელიც აღჭურვილია მოსწავლეების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილების ყველა აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით: ადაპტირებული აუჯი, მრავალფეროვანი თვალსაჩინო სასწავლო მასალა, აუდი-ვიდეო აპარატურა, კომპიუტერი, პრინტერი, ქსეროქსი. რესურს ოთახს ემსახურება სკოლის ფსიქოლოგი, სპეციალური პედაგოგი, მეტყველების თერაპევტი და ყველა ის მასწავლებელი, რომელიც სსსმ ბავშვების ინკლუზიური სწავლების პროცესში მონაწილეობს. რესურს ოთახი სსსმ მოსწავლეთა საგაკვეთილო განრიგის შემადგენელი ნაწილია, სადაც მათ შესაძლებლობა ეძლევათ საჭიროებისამებრ დაისვენონ, ინდივიდუალურად და/ან ჯგუფურად იმეცადინონ. სსსმ მოსწავლის რესურს ოთახში ყოფნის ინტენსივობას მისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა განსაზღვრავს.

სრული ინკლუზია - გულისხმობს სსსმ მოსწავლის საგაკვეთილო განრიგს, რომლის თანახმადაც იგი ესწრება ყველა გაკვეთილს.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვი (მოსწავლე) - ყველა ბავშვი რომელიც ხასიათდება: 1. ფიზიკური და გონებრივი განვითარების დარღვევით; 2. მხედველობისა და სმენის დარღვევით; 3. მეტყველების, ქცევისა და ემოციური განვითარების დარღვევით; 4. რომელთაც აქვთ გრძელვადიანი მკურნალობის/ქოსპიტალიზაციის საჭიროება; 5. რომლებიც წარმოადგენენ ეროვნულ უმცირესობებს; 6. რომლებიც არიან სოციალურად დაუცველნი და 7. რომელთაც სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების გამო საგანმანათლებლო პროცესიდან გარიყვა ემუქრებათ.

სსსმ ბავშვის იდენტიფიკაცია და შეფასება - სსსმ ბავშვის იდენტიფიკაცია გულისხმობს ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევისა და სწავლის სირთულეების აღმოჩენესა და დადგენას, ხოლო შეფასება გულისხმობს ამ დარღვევების ბუნების, ხარისხისა და მიზეზების განსაზღვრას.

სპეციალიზირებული სკოლა - სკოლა, რომელიც ახორციელებს სპეციალურ და კორექციულ საგანმანათლებლო პროგრამებს, აგრეთვე მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვთა სააღმზრდელო საქმიანობას.

სპეციალური პედაგოგი - არის უმაღლესი განათლების მქონე პედაგოგი, რომელიც ზედმიწევნით კარგად იცნობს სსსმ ბავშვთა აღზრდის, განვითარების, განათლებისა და საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის საკითხებს. სპეციალურ პედაგოგს შეუძლია ფსიქო-პედაგოგიური სწავლების ტექნიკების პრაქტიკაში გამოყენება, სსსმ მოსწავლეების პედაგოგიური შეფასება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა. აგრეთვე სპეციალური პედაგოგის ფუნქციაა დახმარება აღმოუჩინოს და ასისტირება გაუწიოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პედაგოგებს სსსმ ბავშვების ინკლუზიური სწავლების პროცესში.

ფსიქოლოგის საქმიანობა - გულისხმობს: ფსიქოლოგიური და პედაგოგიური ტესტების ჩატარებას; ტესტების (შეფასების) შედეგების ინტერპრეტაციას; ბავშვის ქცევისა და სწავლასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაციის მოპოვებას, ინტეგრირებასა და ინტერპრეტაციას; კონსულტაციებს გუნდის დანარჩენ წევრებთან იმისთვის, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა განხორციელდეს ტესტირების, მშობელთა ინტერვიუების და ქცევის შეფასების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე და მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული ბავშვის ყველა საგანმანათლებლო საჭიროება; ფსიქოლოგიური კონსულტირების დაგეგმვასა და წარმართვას სსსმ ბავშვებთან და მათ მშობლებთან; მასწავლებლებთან ერთად ქცევის გაუმჯობესების სტრატეგიების დაგეგმვას.

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი (მოსწავლე) - არის ბავშვი, რომლის სტატუსი შეზღუდული შესაძლებლობის კატეგორიის დიაგნოსტიკური კრიტერიუმების მიხედვითაა განსაზღვრული. კერძოდ ბავშვი, რომელსაც დაავადების, ტრავმის, გონებრივი თუ ფიზიკური განვითარების დარღვევის შედეგად დაზიანებული აქვს ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციები, რაც განაპირობებს სწავლის უნარის სრულად ან ნაწილობრივ დაქვეითებას ან/და ყოფა-ცხოვრების არსებით გართულებას, რასაც იგი მიჰყავს ქმედითუნარიანობის დროებით ან მუდმივ შეზღუდვამდე და სოციალური დაცვის საჭიროებამდე.

“ინკლუზიური სწავლების პრინციპებზე დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები ყველაზე ეფექტური გზაა დისკრიმინაციული დამოკიდებულებების დაძლევისთვის, კეთილგანწყობილი გარემოს შექმნის, ინკლუზიური საზოგადოების შენებისა და განათლების საყოველთაო მიზნების მისაღწევად”

სალამანკას დეკლარაცია, UNESCO 1994

I. შესავალი

განათლების მიღება ყველა ბავშვის ფუნდამენტური უფლებაა. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს განათლების ხელმისაწვდომობა და თანაბარი შესაძლებლობები ყველა ბავშვისთვის, მიუხედავად მისი საჭიროებებისა, ეთნიკური, რელიგიური, თუ რასობრივი წარმომავლობისა.

წინამდებარე სტრატეგია შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის, გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის, საქართველოს 2008-2009 წლების ეროვნული სასწავლო გეგმისა და განათლება ყველასათვის საერთაშორისო პროგრამის საფუძველზე.

დიდი ხნის განმავლობაში ქართული საზოგადოებისათვის კომოგენურობა განათლების სისტემაში ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენდა, რაც საბჭოთა მემკვიდრეობით გვერგო. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვები (შემდგომში სსსმ ბავშვები) მკაცრად სეგრეგირებული იყვნენ საზოგადოებისაგან და არ კქონდათ შესაძლებლობა მიეღოთ განათლება ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში თანატოლებთან ერთად. ცვლილებები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების ბავშვების განათლების სფეროში 1994 წლიდან დაიწყო არასამთავრობო სექტორის მიერ, თუმცა სახელმწიფოს აღნიშნული საკითხი კვლავ ყურადღების მიღმა რჩებოდა.

სსსმ ბავშვების განათლება, როგორც პრიორიტეტი, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ იქნა 2004 წლიდან, როდესაც დაიწყო განათლების სისტემის რეფორმა. ინკლუზიური სწავლების დანერგვას საქართველოში მნიშვნელოვანი ფინანსური და მეთოდოლოგიური დახმარება ნორვეგიის მთავრობამ გაუწია. განათლებისა და მაცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ განხორციელდა პროექტი: “ინკლუზიური სწავლების დანერგვა თბილისის 10 სკოლაში”, რომელმაც “დიდად შეუწყო ხელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სოციალურად იზოლირებული ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრირებას”¹. პროექტის შედეგებმა და არასამთავრობო ორგანიზაციების გამოცდილებამ ცხადყო, რომ სახელმწიფოს ესაჭიროება ერთიანი, შეთანხმებული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვთა განათლების სფეროში.

¹ ბავშვის უფლებების კომიტეტის 2007 წლის მონიტორინგის ანგარიში

რომელიც უნდა ასახავდეს აუცილებელ საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და მეთოდოლოგიური ცვლილებებს.

ყველა ბავშვის საგანმანათლებლო საჭიროება მაქსიმალურად უნდა იყოს ასახული განათლების ეროვნული პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში. სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვთა განათლების სფეროში ქვეყნები ხელმძღვანელობენ UNESCO-ს "განათლება ყველასათვის" პროგრამით, რომლის მიზანია 2015 წლისათვის ყველა ბავშვს, მიუხედავად მისი საგანმანათლებლო საჭიროებისა, აქონდეს საშუალება:

- ისწავლოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში საცხოვრებელ ადგილთან ახლოს
- მიიღოს ცოდნა მრავლფეროვანი, მოქნილი, აკადემიური და სოციალურ უნარებზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამების მეშვეობით
- ჩართული იყოს განათლების უწყვეტ პროცესში, სკოლამდელი განათლებიდან სახელობო და პროფესიული განათლებისა და უმაღლესი განათლების ჩათვლით
- სრულფასოვანი მონაწილეობა მიიღოს სკოლისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ ასპექტში
- იყოს თანასწორუფლებიანი მოსწავლე და მაქსიმალურად განავითაროს საკუთარი პოტენციალი

აღნიშნული გრძელვადიანი მიზნებისკენ სწრაფვით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მრავალმხრივი კონსულტაციების შედეგად² და USAID-ისა და SAVE the CHILDREN-ის მხარდაჭერით შექმნა წარმოდგენილი სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2009-2011 წლებისათვის. აღნიშნული პერიოდი განისაზღვრა, როგორც გარდამავალი, მოსამზადებელი ეტაპი სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვთა განათლების გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად. გარდამავალი პერიოდის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელებით სამინისტრო ხელს შეუწყობს სპეციალიზირებული სკოლების მეთოდოლოგიურ და მატერიალურ-ტექნიკურ სრულყოფას და დაიწყებს ინკლუზიური სწავლების³ დანერგვასა და განვითარებას.

სტრატეგიის შექმნისა და დანერგვის მოსამზადებლად სამინისტრო განახორციელებს რამდენიმე აუცილებელ ღონისძიებას. პირველ რიგში, სამინისტრო უარყოფს აქამდე მიღებულ ტერმინოლოგიას და ამკვიდრებს ტერმინს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვი (სსსმბ)⁴. ტერმინის სსსმბ

² სამინისტროს ბავშვზე ზრუნვის დეპარტამენტთან შექმნილი ინკლუზიური სწავლების განვითარების 15 კაციანი სამუშაო ჯგუფი აერთიანებს სამინისტროს, ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალიზირებული სკოლების, საუნივერსიტეტო განათლების, ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების, და შესლუსული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა შრომლების ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

³ გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) მიერ 1990-იან წლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვთა განათლების სფეროში ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ სსსმბ განათლების ყველაზე წარმატებულ და საერთაშორისოდ აღიარებულ მოდელს ინკლუზიური სწავლება წარმოადგენს. ინკლუზიური სწავლებს არის მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ბავშვისათვის მათი შესაძლებლობებისა და უნარების შესაბამისი განათლების ხელმისაწვდომობას ზოგადი განათლების კონტექსტში, ანუ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში.

⁴ "2005 წლის კანონი ზოგადი განათლების შესახებ" და "საქართველოს 2008-2009 წლების ეროვნული სასწავლო გეგმა"

დამკვიდრება საშუალებას იძლევა განათლების სისტემაში თავიდან იქნას აცილებული ბავშვების დაყოფა შესუღული შესაძლებლობის სტატუსის, სწავლის უნარის, სოციალური მდგომარეობის, ეროვნული მიკუთვნებულობის ან რაიმე სხვა ნიშნის მიხედვით.

შესაბამისად, სამინისტრო სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე განსაზღვრავს ბავშვებს:

- ფიზიკური და გონებრივი განვითარების დარღვევით
- მხედველობისა და სმენის დარღვევით
- მეტყველების, ქცევისა და ემოციური განვითარების დარღვევით
- რომელთაც აქვთ გრძელვადიანი მკურნალობის/პოსპიტალიზაციის საჭიროება
- რომლებიც წარმოადგენენ ეროვნულ უმცირესობებს
- რომლებიც არიან სოციალურად დაუცველნი
- რომელთაც სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების გამო საგანმანათლებლო პროცესიდან გარიყვა ემუქრებათ

ამასთან, სსსმ ბავშვების სპეციალიზირებული და ინკლუზიური სწავლება არ იქნება წარმატებული და ეფექტური ადეკვატური ადამიანური/პროფესიული, მატერიალურ/ტექნიკური და ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის გარეშე. ამ ეტაპზე სამინისტრო ასევე წარმოაჩენს სპეციალიზირებულ სკოლებს როგორც საგანმანათლებლო რესურს-ობიექტებს, რომელთაც დაევალება სსსმ ბავშვების განათლების ხელშეწყობა სამინისტროს მიერ შემუშავებული მიდგომების, მეთოდოლოგიებისა და სწავლების ეფექტური სტრატეგიების გაზიარებით.

II. სტრატეგიის პრინციპები და ღირებულებები

სამინისტროს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების განათლების სტრატეგია ეფუძნება შემდეგ პრინციპებსა და ღირებულებებს:

- განათლების პოლიტიკის ამოხაველი წერტილი ბავშვის საგანმანათლებლო ინტერესია
- ყველა ბავშვისთვის აუცილებელია განათლების მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფა
- ყველა მოსწავლისათვის აუცილებელია თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა
- ყველა მოსწავლეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა ისწავლოს თანატოლებთან ერთად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში

III. სტრატეგიის მიზნები

სსსმ ბავშვთა განათლების სტრატეგიის ძირითადი მიზნებია:

- შეიმუშაოს და დანერგოს სსსმ ბავშვთა განათლების ეროვნული მოდელი
- უზრუნველყოს სსსმ ბავშვებისათვის განათლების ხელმისაწვდომობა

- ხელი შეუწეოს სსსმ ბავშვთა განათლების ხარისხის გაუმჯობესებას სკოლამდელი, დაწყებითი, საბაზო, საშუალო, სახელობო და პროფესიული განათლების დონეზე
- ხელი შეუწეოს სახელმწიფო სექტორებს შორის შეთანხმებული, ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებას

IV. სტრატეგიული პრიორიტეტები

სტრატეგია მოიცავს წინამდებარე 8 პრიორიტეტს:

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვთა განათლების ეროვნული მოდელის შემუშავება

კონტექსტი და დასაბუთება: ამჟამად საქართველოში სსსმ ბავშვებისთვის არსებობს ფორმალური განათლების მიღების საშუალება სპეციალიზირებულ სკოლებში, ხოლო არაფორმალური განათლებისა - დღის ცენტრებში. ინკლუზიური განათლება ხელმისაწვდომია სსსმ ბავშვების მხოლოდ მცირე ნაწილისათვის, სსსმ ბავშვთა უმრავლესობა კი საერთოდ განათლების გარეშე რჩება. გამონაკლის შემთხვევებში ბავშვები განათლებას შინ ღებულობენ. სამწუხაროდ სსსმ ბავშვების აბსოლუტური უმრავლესობისთვის არ არსებობს საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასების ადეკვატური სისტემა, შესაბამისი სასწავლო გეგმები ან მათი განათლების ხელშემწყობი სასწავლო გარემო. შექმნილი ვითარება მრავალი ფაქტორის ერთობლიობით არის გამოწვეული⁵, რომელთაგან უმთავრესია სსსმ ბავშვთა განათლების ეროვნული მოდელის არ არსებობა, რომელიც ორიენტირებულია ბავშვის კონკრეტულ საგანმანათლებლო საჭიროებებიდან გამომდინარე მისთვის ოპტიმალური სასწავლო გარემოს შექმნაზე და რომელშიც მკაფიოდ არის განსაზღვრული: **სსსმ ბავშვთა განათლების ყველა შესაძლო ფორმა⁶ და შესაბამისი სტანდარტები.**

იმისთვის რომ ხარისხიანი განათლება ყველა ბავშვისთვის გახდეს ხელმისაწვდომი, უნდა შემუშავდეს სსსმ ბავშვთა განათლების ეროვნული მოდელი, რომლის დანერგვა და ფუნქციონირება შემდგომში დარეგულირდება ნორმატიული აქტით და დაექვემდებარება მონიტორინგს. სსსმ ბავშვთა განათლების ეროვნული მოდელი უნდა შეიცავდეს შემდეგ კომპონენტებს:

- სსსმ ბავშვის იდენტიფიკაციისა და მისი საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასების სისტემას;
- სსსმ ბავშვის იდენტიფიკაციისა და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით სასწავლო დაწესებულების/პროგრამის რეკომენდირების კრიტერიუმებს და სისტემას;
- სსსმ ბავშვთა განათლების კედაგოგების (სპეციალური მასწავლებლის) პროფესიულ სტანდარტს;

⁵ Review and analysis of the Inclusive Education Policies and Practice: Assessment of existing situation in Georgia and in other European and non European countries, Report USAID, SAVE the CHILDREN, 2008

⁶ ინკლუზიური სწავლება, სპეციალიზირებული განათლება, არაფორმალური განათლება დღის ცენტრში და შინ განათლება

- ინკლუზიური სწავლების ფორმების (ინტეგრირებული კლასი, სსსმ მოსწავლის ნაწილობრივი ინკლუზია ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში, სსსმ მოსწავლის სრული ინკლუზია ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში და დროებითი დამხმარე კლასები) განმარტებებსა და მათი დანერგვის სტანდარტულ წესებს შემდეგი აუცილებელი მინიმუმით: საჭირო სერვისების ჩამონათვალი; სასწავლო მასალები და თვალსაჩინოებები; სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლის ცოდნის აუცილებელი დონე ინკლუზიურ სწავლებაში; მასწავლებლისა და ადმინისტრაციის პასუხისმგებლობები, მათი საათობრივი დატვირთვა და სხვა საქმიანობების განსაზღვრა; ურთიერთობა საგანმანათლებლო რესურს-ცენტრებთან; მოთხოვნა დამხმარე პერსონალისადმი და მათი საათობრივი დატვირთვა; და სხვა დამხმარე საშუალებების ჩამონათვალი როგორცაა ტრანსპორტირება, ფიზიკური გარემოს ადაპტირების მინიმუმი და სხვა;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვთა განათლების დაფინანსების მექანიზმებს;
- სსსმ მოსწავლეთა განათლების პროცესის მართვის სტანდარტულ წესებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის, სპეციალიზირებული სკოლისა და დღის ცენტრის პირობებში. ამ წესებს განეკუთვნება: ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის, განხორციელებისა და მონიტორინგის წესები; მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შეფასებისა და მომდევნო საფეხურზე გადაყვანის წესები;
- სსსმ მოსწავლეთა ატესტაციის სისტემას.

ამოცანები: შესაბამისად, აუცილებელია სსსმ ბავშვთა განათლების ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავდეს ზემოთ აღწერილი სსსმ ბავშვთა განათლების ეროვნული მოდელი და მოხდეს მოცემული მოდელის კომპონენტების სამოქმედო სტრატეგიულ პრიორიტეტებად ჩამოყალიბება.

განხორციელება: აუცილებელია:

- ა) შეიქმნას სსსმ ბავშვთა განათლების ექსპერტთა ჯგუფი;
- ბ) ექსპერტთა ჯგუფის მუშაობა უნდა დაეფუძნოს სსსმ ბავშვთა განათლების კვლევებს, მტკიცებულებებსა და საუკეთესო გამოცდილებას;
- გ) ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეიქმნას სსსმ ბავშვთა განათლების ეროვნული მოდელი და წარედგინოს ის საზოგადოებას განსახილველად, მათ შორის სკოლებს, განათლების რესურს-ცენტრებსა და სამინისტროს;
- დ) ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასევე უნდა შეიქმნას და სამინისტროს გრიფით გავრცელდეს სსსმ ბავშვთა განათლებასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიური ლექსიკონი.

2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა განათლების ეროვნული მოდელის დანერგვა

კონტექსტი და დასაბუთება: სსსმ ბავშვთა განათლების ეროვნული მოდელის, მისი სახელმძღვანელო წესების, იდენტიფიკაციის ინსტრუმენტის, და შესაბამისი რეგულირების მექანიზმების შექმნა და პილოტირება შესაძლებელს გახდის ინკლუზიური სწავლების დანერგვას საქართველოს მასშტაბით და აგრეთვე ამჟამად არსებული ინკლუზიური სწავლების პრაქტიკის გაძლიერებას.

ამოცანა: დაიწყოს სსსმ ბავშვთა განათლების ეროვნული მოდელის დანერგვა ქვეყნის მასშტაბით.

განხორციელება: საჭიროა:

- ა) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელმძღვანელობით, ექსპერტთა ჯგუფისა და რესურს-ცენტრების დახმარებით, მოხდეს ეროვნული მოდელის სრულყოფილი პილოტირება საქართველოს 9-ვე რეგიონში, შესაბამისი რეგულაციებისა და სახელმძღვანელო წესების დაცვით;
- ბ) იმ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, რომელთაც დაწყებული აქვთ ან იწყებენ ინკლუზიური სწავლების დანერგვას, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან გამოეყოს პროგრამული გრანტი. ასეთი პროგრამული გრანტები შეიძლება გამოიყოს სკოლაში სპეციალისტის მოსაწვევად, სახელმძღვანელოებისა და თვალსაჩინოებების შესაძენად, სასწავლო გარემოს ადაპტაციისათვის, და სპეციალური დონისძიებებისთვის;
- გ) პილოტირების შედეგები წარედგინოს საზოგადოებას განსახილველად, მათ შორის სკოლებს, განათლების რესურს-ცენტრებსა და სამინისტროს;
- დ) დაიწყოს ეროვნული მოდელის დანერგვა, რისთვისაც შეიქმნას მასწავლებელთა კორპუსის გადამზადების გეგმა, მულტი-დისციპლინარული ჯგუფების შექმნისა და მომზადების გეგმა, სკოლის ადმინისტრაციისა და რესურს-ცენტრების გადამზადების გეგმა;
- ე) განხორციელდეს ზემოთ აღნიშნული გადამზადების გეგმები საქართველოს ყველა სკოლასა და რაიონში;
- ვ) მოხდეს ინკლუზიური სწავლების დანერგვის მონიტორინგი, მომზადდეს მისი ანალიზი და რეკომენდაციები, და შეიქმნას ყოველწლიური ანგარიში.

3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა განათლების რეგულაციები და სახელმძღვანელო წესები

კონტექსტი და დასაბუთება: ეროვნული მოდელის დანერგვა, თავის თავად გულისხმობს ეროვნული მოდელთან ერთად უნდა შემუშავდეს მისი დანერგვისა და ფუნქციონირებისთვის აუცილებელი რეგულაციები, უფლება-მოვალეობათა ნუსხა, და ნორმატიული მოთხოვნები. ასეთი საკვალდებულო აქტების გარეშე შეუძლებელი იქნება ეროვნული მოდელის დანერგვა.

ამოცანა: აუცილებელია ინკლუზიური და სპეციალური სწავლების შესაბამისი რეგულაციების, სახელმძღვანელო წესებისა და დაფინანსების მექანიზმების შექმნა. ეს ცვლილებები უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- ინკლუზიური და სპეციალური სწავლების მართვის სტრუქტურის დადგენა, მასში შემავალი ერთეულების, მოვალეობებისა და ფუნქციების განსაზღვრა;
- ინკლუზიური და სპეციალური სწავლების დაფინანსების მექანიზმების განსაზღვრა;
- ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალიზირებული სკოლების ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა უფლებებისა და მოვალეობების ნუსხა;
- მშობელთა და/ან მზრუნველთა უფლებებისა და მოვალეობების ნუსხა;

- პროფესიული კადრის მომზადება/გადამზადებისა და სერთიფიცირების წესები და მოთხოვნები;
- სსსმ ბავშვთა მიღების კრიტერიუმებსა და წესს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, სპეციალიზირებულ სკოლასა და დღის ცენტრში;
- სსსმ ბავშვთა განათლების მობილურობის წესს, ე.წ. "თავისუფალი მიმოსვლის სისტემის" აღწერას და მისი განხორციელებისათვის საჭირო ნორმატივებსა თუ ღონისძიებებს;
- უწყებათა შორის ურთიერთობისა და კოორდინაციის ეფექტური მექანიზმს

განხორციელება:

- ა) ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეიქმნას შესაბამისი სახელმძღვანელო წესები, რეგულაციები და მოთხოვნები;
- ბ) მოხდეს სახელმძღვანელო წესების, რეგულაციებისა და მოთხოვნების განხილვა მულტი-დისციპლინარული გუნდების, რესურს-ცენტრებისა და სამინისტროს მიერ;
- გ) მოხდეს სახელმძღვანელო წესების, რეგულაციებისა და მოთხოვნების საბოლოო დამტკიცება, გამოქვეყნება, და მიწოდება ყველა სასწავლო დაწესებულებებისა და რესურს-ცენტრებისთვის.

4. სსსმ ბავშვის იდენტიფიკაციისა და მისი საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტისა და სისტემის დანერგვა

კონტექსტი და დასაბუთება: საქართველოში სსსმ ბავშვის იდენტიფიკაცია და მისი საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასება არ ხდება; სსსმ ბავშვის განათლებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, აქვს თუ არა მას შეზღუდული შესაძლებლობის (შშ) მქონე პირის სტატუსი. ასეთი მიდგომით სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვამ შეიძლება განაპირობოს რესურსების არასწორი გადანაწილება. მაგალითად, შშ სტატუსის მქონე ბევრ ბავშვს, როგორცაა დიაბეტით ან ასთმით დაავადებულები, არა აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები⁷; მეორეს მხრივ, ბავშვებს ვისაც აღუნიშნებათ უყურადღებობისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომები, დისლექსია, კითხვის, წერისა თუ მეტყველების სხვა დარღვევები, შშ სტატუსი არა აქვთ, თუმცა სერიოზული საჭიროებები უდგებათ განათლების მხრივ. საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასებას და იდენტიფიკაციას საჭიროებენ აგრეთვე ეროვნული უმცირესობებისა და სოციალურად დაუცველი ფენის ბავშვები (ქუჩის ბავშვები, იძულებით გადაადგილებულნი და სხვა) და ასევე ყველა ის ბავშვი, რომელიც ამათუიმი მიზეზის გამო სირთულეებს აწყდება სწავლის პროცესში.

საგანმანათლებლო საჭიროებების იდენტიფიკაციის არარსებობა მნიშვნელოვნად უშლის ხელს საჭირო საგანმანათლებლო რეკომენდაციების შემუშავებას, და მშობლებს გაურკვეველობაში ტოვებს. ეს უკანასკნელნი ვერ აკეთებენ ინფორმირებულ არჩევანს იმის თაობაზე თუ სად უნდა ისწავლოს ბავშვი: ზოგადსაგანმანათლებლო თუ სპეციალურ სკოლაში, შინ თუ - დღის ცენტრში.

⁷ არასამთავრობო ორგანიზაცია "გადაქარნით ბავშვების" და კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მიერ 2008 წელს ქუთაისში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ 142 შშ სტატუსის მქონე ბავშვიდან (5-12 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში), მხოლოდ 45-ს აღმოაჩნდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, რომელთაგან 22 ბავშვი არ დადიოდა სკოლაში.

დღეს არსებული სპეციალიზირებული სკოლების საგანმანათლებლო მუშაობა ასევე საგრძნობლად არის შეფერხებული სწორედ საჭიროებების ინდენტიფიკაციის სისტემის არარსებობის გამო.⁸ აქ ვერ ხორციელდება ბავშვების მიღება რაიმე სტანდარტული, სამართლიანი, და ყველასთვის მისაღები სისტემით; ასევე შეუძლებელია განისაზღვროს ბავშვის შესაძლებლობები და შემუშავდეს მისი სწავლების ინდივიდუალური გეგმა.

საგანმანათლებლო საჭიროებების ინდენტიფიკაციის სისტემის არქონის გამო, ასევე ფერხდება ბავშვის განათლებისა და განათლების პროგრესის შეფასების სისტემის შექმნა, რომლის არარსებობა თავისთავად შეუძლებელს ხდის სწავლების შედეგების ობიექტურ შეფასებასა და ბავშვის თავისუფალი მიმოსვლის სისტემის დანერგვას საგანმანათლებლო სივრცეში.

ამოცანები: შესაბამისად, აუცილებელია:

1. შეიქმნას ბავშვის საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასების ვალიდური და სტანდარტიზებული ინსტრუმენტი, რომელიც გამოყოფს ბავშვის უნარების და შესაძლებლობების ძლიერ და სუსტ მხარეებს და შეაფასებს ა) ბავშვის უმაღლეს ფსიქიკურ ფუნქციებს, როგორცაა აღქმა, ყურადღება, მეხსიერება და მეტყველება ბ) აკადემიურ ფუნქციებს, როგორცაა წერა, კითხვა, თვლა, გ) მოტორულ და ემოციურ ფუნქციებს და დ) ადაპტირების, თვითმომსახურების, ყოფისა და სოციალურ უნარებსა და ქცევებს;
2. ქვეყნის მასშტაბით ასეთი ინსტრუმენტის შექმნა და დანერგვა შექმნის იმის შესაძლებლობას, რომ: თითოეული მოსწავლე მაქსიმალურად ჩაერთოს საგანმანათლებლო პროცესში; ეფექტურად დაიგეგმოს სსსმ ბავშვების განათლების ხელშემწყობი პროგრამები; გაუმჯობესდეს ინკლუზიური სწავლების დაფინანსების მექანიზმი; და შეიქმნას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვთა ზუსტი მონაცემთა ბაზა;
3. შემუშავდეს სსსმ ბავშვების ინდენტიფიკაციისა და შეფასების რეგულაციები და პროცედურები. განისაზღვროს სსსმ სტატუსის დადგენის პასუხისმგებელი და უფლებამოსილი ჯგუფები.

განხორციელება: აუცილებელია:

- ა) სსსმ ბავშვთა განათლების ექსპერტთა ჯგუფის მიერ, სხვადასხვა არსებული ტესტების განხილვისა, ადაპტაციის და სტანდარტიზაციის საფუძველზე შეიქმნას სსსმ ბავშვთა საჭიროებების ინდენტიფიკაციის ინსტრუმენტი, და მისი დანერგვის მეთოდები. წარედგინოს ის საზოგადოებას განსახილველად, მათ შორის სკოლებს, საგანმანათლებლო რესურს-ცენტრებსა და სამინისტროს;
- ბ) მოხდეს ინსტრუმენტის პილოტირება საქართველოს 9-ვე რეგიონში;
- გ) დამტკიცდეს სსსმ ბავშვთა ინდენტიფიკაციისა და მათი განათლების საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტის საბოლოო, ტესტირებული ვარიანტი და დაიწყოს მულტიდისციპლინარული ჯგუფების მიერ ამ ინსტრუმენტის შესწავლა და დანერგვა;
- დ) შეიქმნას (ხოლო სადაც არსებობს, განმტკიცდეს) მულტი-დისციპლინური ჯგუფები საქართველოს ყველა საგანმანათლებლო რესურს ცენტრთან, რათა შემდგომში მათ დაეკისროს შემდგომი ფუნქციები:

⁸ საქართველოში სულ 13 სპეციალიზირებული სკოლაა

- სსსმ ბავშვის საგანმანათლებლო საჭიროებების იდენტიფიკაციისა და შესაბამისი განათლების ფორმის რეკომენდება
 - სსსმ ბავშვის უნარებისა და ცოდნის შეფასება
- ე) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში პედაგოგების ხელშეწყობა;
- ვ) ბავშვის საგანმანათლებლო მიღწევების მონიტორინგი;
- ზ) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისთვის დახმარების გაწევა მულტიდისციპლინარული ჯგუფების ჩამოყალიბებაში და მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- თ) გაძლიერდეს დღეს ფუნქციონირებადი მუტი-დისციპლინარული ჯგუფების საქმიანობა რათა მათ შეძლონ სსსმ ბავშვების განათლების ეროვნული მოდელის დანერგვა მათ მიერ პილოტირებულ სკოლებში და ხელი შეუწყონ პილოტირებას სხვა, მინიმუმ სამ მიმდებარე სკოლაში.

5. საუნივერსიტეტო განათლება და მასწავლებელთა პროფესიული განვითარება

კონტექსტი და დასაბუთება: განათლების სისტემა სსს განათლების სპეციალისტების სერიოზულ დეფიციტს განიცდის. განათლების სისტემას არ ყავს საკმარისი რაოდენობისა და შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალური განათლების პედაგოგები, ფსიქოლოგები და მეტყველების თერაპევტები. არსებული სიტუაცია ბევრი ფაქტორის ერთობლიობით არის გამოწვეული, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია ზოგადად, მასწავლებლის პროფესიის დაბალი სოციალური სტატუსი და არასაკმარისი ანაზღაურება.

ამოცანა: ინკლუზიური და სპეციალური სწავლების კადრების ძლიერი სკოლის შექმნა საქართველოში და სპეციალური პედაგოგის პროფესიული სტანდარტის შექმნა.

ინკლუზიური და სპეციალური სწავლების ჰუმანური და საქართველოსთვის ახალი მიდგომების დასანერგად საჭიროა ამ დარგის სპეციალისტების მომზადების ხანგრძლივმოქმედი პროგრამების შემუშავება. მხოლოდ საკმარისი რაოდენობის და კარგად განათლებული სპეციალისტების მეშვეობით იქნება შესაძლებელი იმ მიდგომების დანერგვა, რომლებიც აღიარებულია გაეროს კონვენციებით და სხვა ქვეყნებში დიდი ხანია წარმატებით სრულდება.

განხორციელება: უნივერსიტეტებისა და სამინისტროს თანამშრომლობით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც იმუშავებს შემდეგი საკითხებზე:

- განათლების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში დაინერგოს და/ან გაძლიერდეს სსსმ ბავშვებთან მუშაობისთვის აუცილებელი საგნების სწავლება; შემოტანილ იქნას სავალდებულო მოდულის სახით ინკლუზიური და სპეციალური განათლების საფუძვლების სწავლება; შექმნას ახალი მოდულები და სახელმძღვანელოები, მათ შორის მეთოდოლოგიური სასწავლო მასალები
- შეიქმნას სპეციალური სწავლების საუნივერსიტეტო პროგრამა შესაბამისი ხარისხის (სპეციალური სწავლების პედაგოგი ან სპეციალისტი) მინიჭებით
- შეიქმნას სპეციალური სწავლების პედაგოგის პროფესიული და საგანმანათლებლო სტანდარტები და სერტიფიკაციის სისტემა; დაინერგოს აქსელირებული სასერტიფიკატო ტრენინგები

- სპეციალური პედაგოგიკის სპეციალისტებად გადამზადების აკრედიტირებული პროგრამის/კურიკულუმის მომზადება; ახალი მოდულებისა და სახელმძღვანელოს შედგენა
- დაინერგოს სავალდებულო ტრენინგ კურსები სპეციალიზირებული სკოლების პედაგოგთა პროფესიული განვითარებისათვის
- დაინერგოს სავალდებულო ტრენინგ კურსები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პედაგოგებისათვის სსსმ ბავშვების განათლების პრინციპებისა და პრაქტიკის გაცნობისათვის
- დაინერგოს ინტენსიური კვალიფიკაციის ამადლების ტრენინგები იმ სკოლებში, სადაც ინკლუზიური სწავლება დანერგილია ან ინერგება
- ზოგადი და სპეციალური განათლების მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაცია
- კოორდინაციის და ერთობლივი მუშაობის გაძლიერება ინკლუზიური ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალურ სკოლებსა და უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტებს შორის, სტუდენტების სავალდებულო პრაქტიკის დაგეგმვასა და განხორციელების მიზნით

6. სპეციალიზირებულ სკოლებში სწავლების ხარისხი გაუმჯობესება

კონტექსტი და დასაბუთება: სახელმწიფო სსსმ ბავშვების ინკლუზიურ სწავლების პრიორიტეტულობის აღიარების პარალელურად აცნობიერებს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ვერ უზრუნველყოფს ყველა სახის საგანმანათლებლო საჭიროების დაკმაყოფილებას. სპეციალური (არაინკლუზიური) სწავლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა აუცილებელია სპეციალიზირებული სკოლების საშუალებით. საქართველოს 13 სპეციალიზირებულ სკოლაში 926 მოსწავლეა. მათი დაფინანსება ხდება ვაუჩერული წესით. არსებული სპეციალიზირებული სკოლები როგორც წესი მცირეკონტიგენტიანია, რაც დაფინანსების არსებული მექანიზმების პირობებში ქმნის ბავშვთა რაოდენობის მექანიკური ზრდის მოტივაციას და ბადებს ნეგატიურ დამოკიდებულებას ინკლუზიური სწავლების მიმართ, რამეთუ მოსწავლის შესაძლო გადასვლა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მისი ვაუჩერის დაკარგვას ნიშნავს⁹.

სკოლების უმრავლესობა საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია როგორც მატერიალურ - ტექნიკური, ასევე მეთოდოლოგიური განვითარების თვალსაზრისით. სწავლების მეთოდები თითქმის არ შეეცვლილა 1960-იანი წლების შემდეგ. აღინიშნება სასწავლო მასალების, სახელმძღვანელოების (განსაკუთრებულად ძვირად ღირებული ბრაილის შრიფტის) და თვალსაჩინოებების მნიშვნელოვანი დეფიციტი, რომ არაფერი ვთქვათ თანამედროვე ტექნიკურ აღჭურვილობაზე. პედაგოგებს უჭირთ ერთიან ეროვნულ სასწავლო გეგმაზე მორგებული, მოდიფიცირებული პროგრამის შემუშავება თანამედროვე მეთოდების და ინსტრუქციების სიმცირის გამო. ყოველივე ზომით აღნიშნული ცალსახად აყენებს პედაგოგებისათვის ტრენინგებისა და პროფესიული განვითარების კურსების დანერგვის აუცილებლობას.

⁹ Review and analysis of the Inclusive Education Policies and Practice: Assessment of existing situation in Georgia and in other European and non European countries. Report USAID, SAVE the CHILDREN, 2008

